# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · პარასკევი, 18 მარტი · 1994 № 16 (91) · ფასი 3500 კუპონი

2 შევარდენი — დინამო: თბილისური დერბი

3 ბასკებმა ლა კორუნია დაამუხრუჭეს · ეროვნული ჩემპიონატები

4 ჯონსონიც დაბრუნებულა · NBA-ს ამბები

## საკალათბურთო ჩემპიონატი

გუშინ ვერის ბაღში საქართველოს „დინამოსა" და „თორსის" გამოტოვებული მატჩით საკალათბურთო ჩემპიონატი განახლდა. „თორსმა" გაიმარჯვა 96:83 (53:41). მატჩის ბედი მე-11 წუთისთვის გადაწყდა, როცა „თორსმა" ოთხწუთიანი მონაკვეთი 20:2 მოიგო. ამ დროს დავით თორთლაძემ (23 ქულა, 19 პასი) და ალექსანდრე ფერიაშვილმა (29 ქულა) ერთად 12 ქულა გააკეთეს. ირაკლი თორთლაძემ 15-ვე ქულა პირველ ტაიმში ჩააგდო. „დინამომ" ირაკლი ვაშაკიძის (29 ქულა, 8-დან 6 სამქულიანი) წყალობით ტაიმის ბოლო წუთნახევარი 11:2 მოიგო და შესვენების შემდეგ მეტოქეს 8 ქულამდე მიუახლოვდა, მაგრამ ამ დროს მათმა მწვრთნელმა ჭკუასელმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო და „თორსმა" კვლავ გაუტია. დინამოელმა შალვა ცხვედიანმა სეზონში ყველაზე ცუდი შედეგი — 8 ქულა უჩვენა.

ახლა კიდევ ორი გადადებული შეხვედრა გაიმართება, მერე — მეორე წრის დასკვნითი ტური და ფინალური ექვსეულიც გამოვლინდება. თამაშების კალენდარი ასეთია:

**18 მარტი**
ვითა — კაქტუსი 15.00
**19 მარტი**
თბილისი — დინამო 15.00
**20 მარტი**
აზოტი — ჯიქი 14.00
ვითა — თორსი 15.30
**21 მარტი**
თბილისი — მერანი 14.00
დინამო — კაქტუსი 15.30
**22 მარტი**
ჯიქი — თორსი 14.00
აზოტი — მერანი 15.30
**23 მარტი**
დინამო — შევარდენი 14.00
თბილისი — კაქტუსი 15.30
**24 მარტი**
თორსი — შევარდენი 14.00
ვითა — აზოტი 15.30
**25 მარტი**
აზოტი — შევარდენი 13.00
დინამო — მერანი 14.30
კაქტუსი — თორსი 16.00
**26 მარტი**
დინამო — ჯიქი 14.00
ვითა — თბილისი 15.30
**27 მარტი**
თბილისი — ჯიქი 14.00
თორსი — მერანი 14.30
კაქტუსი — აზოტი 16.00
**28 მარტი**
შევარდენი — თბილისი 14.00
ვითა — დინამო 15.30.



# რეზო არველაძე

## ამარცხებს «შტუტგარტს»

ბუნდესლიგის მორიგი ტურის თამაშები შაბათს გაიმართა, საკვირაოდ კი მხოლოდ ერთი მატჩი იყო დაგეგმილი და სწორედ ეს შეხვედრა შევა... ქართული ფეხბურთის ისტორიაში. „კიოლნისა" და „შტუტგარტის" მატჩის 90-ე წუთზე რეზო არველაძემ საბოლოოდ დაასამარა სტუმართა იმედები: მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში 3:1 გახდა. ამრიგად, 1994 წლის 13 მარტს ქართველმა ფეხბურთელმა პირველად შეარხია ბუნდესლიგურ მეკარეთა კარის ბადე.

მანამდე კი 20 ათასი მაყურებელი წვიმიან ამინდში აღფრთოვანებული შესცქეროდა „კიოლნის" 24 წლის ნახევარმცველის ჰორსტ ჰელდტის თამაშს. მან ჯერ 38-ე წუთზე ჩინებული პასით მოძებნა ტონი პოლსტერი და სეზონში მე-12 გოლი გაატანინა, სამოცდაერთე წუთში თავის მეკარეს შეუგდო ბურთი, 68-ე წუთზე კი გამოასწორა შეცდომა და უკვე სტუმართა მეკარე დატოვა უძლური. „შტუტგარტი" 1994 წლის განმავლობაში პირველად აღმოჩნდა დამარცხების წინაშე და მედგრად შეუტია, მაგრამ შემცვლელად შემოსულმა რეზო არველაძემ...

ბუნდესლიგის სხვა თამაშებს მესამე გვერდზე იხილავთ, აქ კი ბარემ დანარჩენი არველაძეების ამბავსაც გაეცანით.

მეორე წრეში „ტრაბზონსპორი" თუ იგებს, კაცურად იგებს. თვად განსაჯეთ: „ზეითუნბურნუსპორი" 5:0, „სამსუნსპორი" 3:0, „ქარშიაქა" 5:0, ოცდამეერთე ტურში, 13 მარტს „ტრაბზონმა" შინ აუტსაიდერი „ქარაბუქი" მიიღო და 6:0 გაანადგურა. შოთასათვის ეს მატჩი მეთერთმეტე იყო ჩემპიონატში და მან „ჰეთ-თრიქი" შეასრულა. თერთმეტ მატჩში თერთმეტი გოლი — ასეთია შოთას პირადი ანგარიში. ძმას არც არჩილი ჩამორჩა, თავის მეშვიდე მატჩში ორი გოლი გაიტანა და ახლა შოთას შემდეგ ხუთი გატანილი გოლით კლუბში მეორე ადგილზეა შედეგიანობით. ახლა „ტრაბზონს" 41 ქულა აქვს 21 თამაშის შემდეგ და მყარად უკავია მესამე ადგილი. 20 მარტს გუნდს პრინციპული მატჩი აქვს ლიდერ „გალათასარაისთან" სტუმრად. პირველი წრის მატჩი ტრაპიზონში „გალათასარაიმ" მოიგო 2:1.

ტყუპების საარაკო პოპულარობა ჩვენს თურქეთში „ტურისტად" ჩასულ ქალბატონებს კარგად გამოუყენებიათ. არველაძეების დედას, ქალბატონ თამარს სარფის საბაჟოს მოხელემ საბუთების გასინჯვის შემდეგ თურმე სიცილით მიუგო: არ მითხრა ახლა შოთასა და არჩილის დედა ვარ, მარტო დღეს ბარე ათი ეგეთი დედა გავაცილე თურქეთშიო. ტყუპებს მეტოქეებიც პატივისცემით განუწყვიათ: „სამსუნსპორთან" ჩაშლილ მატჩში სამსუნელები ტრაპიზონელებს დაერივნენ, ორად-ორი კაცი, ვისაც სამსუნელთა სილა და ჭიტლაყი არ მოხვედრია, შოთა და არჩილი იყვნენ.

## მოკრივეები «გამოფხიზლდნენ»...

დასრულდა „ზამთრის ძილი", რაღა თქმა უნდა ბევრწილად იძულებითი (ნუღარ ჩამოვთვლით მეათასედ ცნობილ მიზეზებს) — ქართველმა მოკრივეებმა შარშანდელი სექტემბრის, ანუ ბურსაში გამართული ევროპის ჩემპიონატის მერე, როგორც იქნა, „შინიდან გააღწიეს" და გერმანიის ქალაქ ჰალეს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. სეზონის ეს მათთვის პირველი შეჯიბრება, ბუნებრივია, უპირველესად „გამოფხიზლებას" და ზაფხულისთვის დათქმული მსოფლიო თასისთვის სამზადისს ისახავდა მიზნად — სიდუხჭირით გამოწვეული „დიდი დასვენება" ისე გაუჭიანურდათ, პირველსავე, თანაც საკმაოდ პრესტიჟულ (მასპინძელთა, კუბელთა, ბულგარელთა, რუმინელთა და სხვათა, სულ 14 ქვეყნის მოკრივეთა მონაწილეობაა ამის დასტური) ტურნირში მეტის მოთხოვნა ნამდვილად არარეალური იყო. შედეგი მართლაც ვითარების შესატყვისი გამოდგა: გიორგი კანდელაკმა (91 კგ), ზურაბ სარსანიამ (+91), კახა ჩიქვინიძემ (63,5) და თამაზ წკრიალაშვილმა (57) მესამე ადგილები დაიკავეს. მათ გარდა ჰალეში კობა გოგოლაძეც გამოდიოდა.

## სამთომოთხილამურეთა ტურნირი

13 მარტს გუდაურში საქართველოს ახალგაზრდული საერთაშორისო ფონდის ინიციატივით უკვე მეორედ გაიმართა აფხაზეთში დაღუპულ სუხი სულხანიშვილის სახელობის ტურნირი სამთო-სათხილამურო სპორტში.

ტურნირში მონაწილეობდნენ პროფესიონალი და მოყვარული მოთხილამურეები, აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სკოლის (სადაც აღიზარდა სუხია) მოსწავლეები.

პრიზები გადაეცათ — ბიჭებიდან გიორგი გაჩეჩილაძეს (მასვე გადაეცა სუხი სულხანიშვილის ოჯახის მიერ დაწესებული პრიზი აფხაზეთში მონაწილე სპორტსმენისათვის); გოგონებში — ნინო კუპრაძეს.

პროფესიონალებიდან საუკეთესო შედეგები აჩვენეს სოფიკო ახმეტელმა და მიშიკო კაკელიძემ.

პატარებიდან პირველობა მოიპოვა ცოტნე ებრალიძემ.

# კაზინო, კალიარი, კარლსრუე...

ეს სამი გუნდი გავიდა უეფას თასის ნახევარფინალში. მეოთხე ნახევარფინალისტი ბოლო წუთს შევიტყვეთ: მილანის „ინტერმა" გუშინ 1:2 წააგო დორტმუნდის „ბორუსიასთან", მაგრამ სტუმრად 3:1 მოგებამ გადაარჩინა.

## ჩემპიონთა ლიგა

მეოთხე ტური. 16 მარტი.

„გალათასარაი" — „მონაკო" 0:2. თურქებმა ვერც ამჯერად შეძლეს გოლის გატანა, თუმცა ერთხელ ძელსაც კი გაარტყეს ბურთი. ყველა დანარჩენი სახიფათო მომენტი სტუმართა კართან „მონაკოს" 38 წლის მეკარე ჟან-ლუკ ეტორიმ გააუვნებელყო. მეორე ტაიმში ჯერ ენცო შიფომ, შეხვედრის მიწურულს კი შეცვლაზე შემოსულმა ჟერომ ნიაკომ მესამე გამარჯვება მოუტანეს მონტე-კარლოელებს და თუ არნახული რამ არ მოხდა, ჩემპიონთა თასზე „მარსელის" ნაცვლად ბოლო წუთს მოხვედრილი „მონაკო" ნახევარფინალში გავა.

„ბარსელონა" — სპარტაკი" 5:1. უკვე მეორე წუთზე სუბისარეტა საკუთარი კარიდან 30 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა და ამით უმალ ისარგებლა ვალერი კარპინმა, მაგრამ იოჰან კრუიფს საფუძვლიანად დაუმუშავებია ორი კვირის წინანდელი მატჩი და ამჯერად „ბარსამ" ის შეცდომები აღარ დაუშვა: ჰრისტო სტოიჩკოვმა პირველივე ტაიმში აღადგინა წონასწორობა. მეორეში კი მასპინძელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, ეჭვი აღარავის შეპარვია „ბარსას" გამარჯვებაში. სტაუჩე კიდევ კარგა ხანს ხანს უძლებდა რომარიოს, სტოიჩკოვისა და სხვათა დარტყმებს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და 75-ე წუთიდან მოყოლებული მოსკოველთა ლიტველი მეკარე გოლებს გოლად უშვებდა, თანაც ხან ერთ, ხან მეორე ძელს ეხათქუნებოდა. ჯერ ჩვენმა მომავალმა მეტოქემ სტოიჩკოვმა (ნეტავ მაგას რა გააჩერებს? — ალბათ კითხულობდა ჩვენი ნაკრების თავკაცი) აიკლო სპარტაკელთა დაცვის მარჯვენა ფლანგი და გოლი ამორს გაატანინა, მსოფლიოს ყველაზე შედეგიანმა მცველმა რონალდ კუმანმა ორი საფირმო საჯარიმო შეასრულა, ბოლოს კი გუნდელებმა პენალტი რომარიოს დაარტყმევინეს და თავისი უდიდესი წვლილი მატჩის ოქმში დააფიქსირებინეს. კრუიფისეული „ბარსას" თამაში ამჯერადაც შთამბეჭდავი იყო, თუმცა ვინც ამ მატჩს „ოსტანკინოზე" უყურა, კომენტატორი პერეტურინი თავისი სულელური და ყოველგვარ ზღვარს გადასული არაობიექტურობით ცოტა კი ჩაუშხამებდა განცდილ სიამოვნებას. ისე, რა ჩვენი საქმეა, მაგრამ რა უნდა მოკითხო კაცს, რომელსაც ჰგონია, რომ თუ რომარიო მოედანზე ტერნავსკის არ მიეყუდა, ისე წაიქცევა კიდეც.

„ა" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 6 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-5 | 2 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-11 | 2 |

დარჩენილი მატჩები: 30 მარტი. „სპარტაკი" — „მონაკო", „ბარსელონა" — „გალათასარაი", 13 აპრილი. „მონაკო" — „ბარსელონა", „გალათასარაი" — „სპარტაკი".

„ვერდერი" — „მილანი" 1:1. „მილანმა" ახლაც ერთი გოლი გაიტანა, თუმცა ახალზელანდიელმა რუფერმა არც როსი დატოვა „მშრალი". იტალიის ჩემპიონის ბოლოდროინდელ თამაშს არიგო საკისა და ჰოლანდიური ტრიოს დროინდელი მშვენიერი სანახაობის მომტანი თამაშისა აღარაფერი სცხია. ფაბიო კაპელოს, მიუხედავად გუნდის არანორმალურობამდე მისული ორგანიზებისა და უძლიერესი თამაშისა, წარმოების უფროსი შეიძლება ვუწოდოთ.

„პორტუ" — „ანდერლეხტი" 2:0. ბულგარელი ემილ კოსტადინოვი ორი გაფრთხილების გამო ტოვებდა თამაშს, რაც „პორტუს" მწვრთნელის ბობი რობსონის უმთავრესი სადარდებელი იყო, მაგრამ ყველაფერი მასპინძელთათვის სასიკეთოდ დამთავრდა და ჯერ დრულოვიჩის, ბოლო წუთზე კი სეკრეტარიუს გოლების წყალობით მათ სრულფასოვანი რევანში აიღეს. სტუმართაგან მხოლოდ ჩინებული გოლეადორი ლუკ ნილისი გამოირჩეოდა.

„ა" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 6 |
| პორტუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 4 |
| ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 9-9 | 3 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 3 |

დარჩენილი მატჩები: 30 მარტი: „მილანი" — „ანდერლეხტი", „ვერდერი" — „პორტუ", 13 აპრილი: „ანდერლეხტი" — „ვერდერი", „პორტუ" — „მილანი".

## თასების თასი

მეოთხედფინალი. 15-16 მარტი.

„არსენალი" — „ტორინო" 1:0 (0:0). ეს შეხვედრა პირველის თითქმის ტყუპისცალი გამოდგა. ერთადერთი განსხვავება ადამსის თავური იყო და ამან ლონდონელებ ნახევარფინალში გაიყვანა. „ტორინომ".

იხილეთ მესამე გვერდ

# ტოშაკი გადადგა

48 დღეც ვერ მოათია უელსის ნაკრების მწვრთნელად ჯონ ტოშაკმა. ჩვენმა ლონდონელმა კორესპონდენტმა **დავით მჭედლიშვილმა** გვამცნო, რომ ოთხშაბათ საღამოს ტოშაკი გადადგა. როგორც იცით, იგი 28 იანვარს დაინიშნა ჩვენი მომავალი მეტოქე ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცად და თან ესპანური „რეალ-სოსიედადის" მწვრთნელობაც დაინარჩუნა, მაგრამ ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩში ამასწინანდელი საშინაო მარცხის შემდეგ (1:3) ველარ გაუძლო უელსის საფეხბურთო სამყაროს ზეწოლას. დიდი იმედებით მოვედი სამუშაოდ, მაგრამ იმდენი სიბინძურე დავინახე ნაკრების გარშემო, რომ ამ საქმეში ხელები დამიბანიაო — უთქვამს ტოშაკს და ესეც დაუძენია: აწი უელსში ჩემს სახელს ნუღარ ახსენებენო.

უელსის ფეხბურთის ფედერაციის უფროსის ალან ევანსისთვის ეს ცნობა მოულოდნელი ყოფილა. ჯერჯერობით ნაკრებს, რომელიც 20 აპრილს შვედეთს უნდა ეთამაშოს, ტოშაკის თანაშემწე მაიკ სმითი გაწვრთნის. დღეს საგანგებო სხდომაზე ევანსი ახალ კანდიდატურებს წამოაყენებს. პრესა ვარაუდობს, რომ ტოშაკის შემცვლელი „რექსჰემის" მწვრთნელ ბრაიან ფლინს, „ევერტონის" მეორე მწვრთნელ დევიდ ვილიამსსა და ტერი იორატს შორის უნდა ვიგულოთ.

# ...ლიტარული მატჩი: შევარდენი – დინამო 0:2

...ილისური დერბი: დინამო — შე... ...ენი 7:1“ — ამ რიხიანი სათაურით ...იელის“ შარშანდელ, ერთ-ერთ ...ლ ნომერში, ამ სეზონში თანაქა... ...ლთა პირველი მატჩის რეცენზია ...ქდა. მოგვიანებით, შემოდგომაზე ...დენმა“ რევანში აიღო — 3:0 ...მინწინდელ, მორიგ „დერბის“ ...მპიონატის კვალობაზე დიდძა... ...ი მოაწყდა. ტრიბუნაზე ცნო... ...ინომსახიობ-კინორეჟისორთა, ...ტართა, მინისტრთა თუ ნამი... ...თა სიმრავლე იმას გაფიქრე... ლამის მთელი თბილისური ფეხბურთის საცქერად შეკ... ფედერაციისა და ნაკრების ...ს ნუღარ იკითხავთ და მინ... ...ომ საფეხბურთო ელიტა შე... ...ეხბურთელიდან 9 ეროვნუ... ამასწინანდელ ტურნეე... ...ეობდა!

...ეზულ ჩემპიონატში გუ... ...დ ბურთობის იშტაზე ...ოუსწრიათ, ან უსიამო, ...შეუშალათ ხელი, რომ ...ისა და ვიცე-ჩემპიონის ...ობა ვერ ვიხილეთ. ნა... ...ურნეებით გადაღლი... ...ბი არაა: დერბი ნამდ... ...ოღონდ ამ სიტყვის ...ოლე მნიშვნელობით: თითქოს იმაში ეჯიბრე... ...თს, ვინ უფრო სწრა... ...მეტოქის საჯარიმომდე ...ერი — ვინ უფრო გე... ...ანძლავდა თანაგუ... ...ერთი შევარდნელი ...ლს შემოსწყრა: დი... ...ნგი გოლით რატომ ...ეო და თამაშის ბო... ...იაბანდო“ უძახა; დი... ...მსაჯი აითვალწუნეს ...წევაზე გაჩენის დღე

ნაკრების მოთამაშეობა ხანდახან ორიოდ კაცს თუ შეეტყობოდა — ყაველაშვილსა და რევიშვილს. მთელი მატჩის მანძილზე ლამის ერთადერთი გონიერი ქმედება გოლით დამთავრდა: ანჩაბაძემ გამჭოლი პასი მიაწოდა ყაველაშვილს და ამანაც ბურთი არ დაუგვიანა საჯარიმოში ეულად დარჩენილ რევიშვილს — 1:0.

საჯარიმოდან საჯარიმომდე გამართულ პაექრობაში „დინამომ“ აშკარა უპირატესობა მოიპოვა. „შევარდენის“ კაპიტანი ჯიშკარიანი სადღაც ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის იყო გამოკიდებული და საჯარიმოების დასარტყმელად თუ იცლიდა; ჯიქიას შეცვლის შემდეგ „შევარდენს“ მოედნის ცენტრში ბურთის „დამჭერი“ აღარ დარჩა და „დინამო“ მთლად გაბატონდა, თუმცა დიდი უპირატესობის მიუხედავად ბოლო ოც წუთში ისე გაიხადა საქმე, მოგება ძლივსღა შეინარჩუნა: ჯერ კარისკენ დარტყმული ბურთი ჩიქოვანს ხელში მოხვდა; მერე მანამდე უქმად მყოფმა ჩხეიძემ გაგვახსენა, მოედანზე ნაკრების კიდევ ერთი წევრი რომ იყო: ჯანაშიას „მაკრატელა“ და ჯიშკარიანის საჯარიმო მოიგერია.

„შევარდენის“ განწირული შტურმის დაწყებამდე ტრიბუნაზეც დიდი ამბები დატრიალდა. გვერდით მსაჯთან დინამოელთა მორიგი „გასაუბრების“ შემდეგ საქმის გარჩევაში ქომაგებიც ჩაერთვნენ და მართალია, ღობეზე გადაძრომა ვერ მოახერხეს, მაგრამ პატივცემული საზოგადოების თვალწინ ლაზათიან მუშტი-კრივსაც ატეხდნენ, საქმეში ქურდები და უფორმო, ტყავისქურთუკოსანი მეავტომატეები რომ არ ჩარეულიყვნენ:

— შენ როგორ მელაპარაკები, ჩემი დედა...

— ფრთხილად, ბიჭო, ქურდებთან გაქვთ საქმე!



კახი გოგიჩაიშვილი და ნუგზარ ლობჟანიძე

მოედანზე კი ქურდული კანონებიც აღარ ჭრიდა. მოდიოდა მსაჯთან მეტოქის „ჩაშვება“:

— ე, ბიჭო, მაგან შეგაგინა და „წითელი“ ამოუღე!

მოდიოდა მეტოქისთვის პანღურის ამორტყმა და მსაჯისგან პასუხად ჭამაშვილური დარიგების მიღება: „ნერვები დაიწყნარე, ნერვები!“

საყოველთაო გნიასში წერტილი თითქოს რევიშვილმა დასვა: მატჩის მიწურულს 50 მეტრიანი დრიბლინგისა და პასის შემდეგ კიკნაძეს ლამაზი თაური გაატანინა, მაგრამ ფინალი მაინც სკანდალური გამოდგა — „დინამოს“ სტოპერმა, თითქმის მთელი თამაში გვერდით მსაჯთან მასლაათში რომ გაატარა, როგორც სჩანს, ერთი-ორი სიტყვა არბიტრისთვისაც გაიმეტა, ამასაც რკინისებურმა ნერვებმა უმტყუნა და ლობჟანიძეს „წითელი აუნთო“...

მამუკა ჩიხლაძე

გია ახალაძის ფოტო

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ჯგუფი

II ტური

**შევარდენი 0:2 დინამო**

თბილისი, სტადიონი „შევარდენი“
16 მარტი

შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, კვიტატიანი, შელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ქოჩლაძე, გოგიტაძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია (რუსია 46), ჯანაშია

დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, კიკნაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ნემსაძე, იაშვილი, ყაველაშვილი, ანჩაბაძე

1:0 რევიშვილი (16)
2:0 კიკნაძე (88)

გაფრთხილება: ლობჟანიძე
გაძევება: ლობჟანიძე (88)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**კოლხეთი 6:1 სამტრედია**
**ბათუმი 0:0 ივერია**
**გურია 3:1 დილა**
**ტორპედო 4:0 მარგვეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 11-3 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| გურია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| მარგვეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ივერია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| შევარდენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

მარგვეთი — შევარდენი 1906 გასაჩივრებული მატჩის განხილვა ხვალ გაიმართება

### XI-XIX ადგილები

I ტური

**საპოვნელა 5:1 სამგურალი**

1:0 უკლება (45) 2:0, 3:0 ჯულელი (53, 61), 4:0 ჩინჩალაძე (65), 5:0 უკლება (72), 5:1 ხურცილავა (77 პ)

### საქართველოს თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები
12 მარტი

გურია — დურუჯი 4:1 (0:1)
შევარდენი 1906 — მაღაროელი 5:2 (0:0)
სამგურალი — არაგვი 5:2 (1:0)
მეტალურგი — ივერია 4:1 (2:4)
სამტრედია — ბათუმი 1:0 (1:4)
კოლხეთი 1913 — დილა 6:0 (1:1)

მეოთხედფინალში, 25 მარტს და 6 აპრილს ითამაშებენ: დინამო — სამგურალი, შევარდენი 1906 — კოლხეთი 1913, გურია — ბათუმი, მეტალურგი — თეთრი არწივი

## სტატისტიკა. I ტური

| | IX | XI-XIX | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| | 4 | 3 | 7 | 165 |
| | 16 | 13 | 29 | 638 |
| ...ლო შედეგიანობა | 4,0 | 4,33 | 4,14 | 3,87 |
| ...სპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ...ლები | 6-6 | 7-1 | 13-7 | 322-151 |
| ...როცენტულად | 50-50 | 88-12 | 65-35 | 68-32 |
| ...რთები | 7-9 | 10-3 | 17-12 | 405-233 |
| პროცენტულად | 44-56 | 77-23 | 59-41 | 63-37 |
| ...ძევება | — | 1-0 | 1-0 | 6-10 |
| ...ფრთხილება | 0-2 | 3-4 | 3-6 | 52-84 |
| ...ნალტი | 0-1 | 0-2 | 0-3 | 53-22 |
| გამოყენებულია | 0-1 | 0-1 | 0-2 | 44-15 |
| ...იდი ანგარიში | 1 | 2 | 3 | 54 |
| ...ეთ-თრიქი“ | 1 | 1 | 2 | 19 |
| ...ეხბურთელთა რაოდენობა | 95 | 73 | 168 | 378 |
| ...ებიუტანტები | 7 | 4 | 11 | 108 |

...ედნიდან გააძევეს იაგორაშვილი („მრეტები“). მეორე გაფრთხილება მიიღეს გოგიტიძემ („ბათუმი“), რ.იობიძემ („სამგურალი“).
...ეთ-თრიქი“ შეასრულეს დავით მახარაძემ („კოლხეთი 1913“) და გიორგი კილასონიამ („მეტალურგი“). 2-2 ბურთი გაიტანეს — მაღლაკელიძემ („ტორპედო“), ჯულელმა („კოლხეთი 1913“), უკლებამ და ჯულელმა (ორივე „საპოვნელა“).

| ბომბარდირები | | ხულ | II ეტ |
|---|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი“ | 20 | - |
| დავით მახარაძე | „კოლხეთი“ | 17 | 3 |
| გივი ქობელაშვილი | „ივერია“ | 17 | - |
| გიორგი ქინქლაძე | „დინამო“ | 13 | - |
| ლევან ხომერიკი | „ბათუმი“ | 13 | - |
| მამუკა ხუნდაძე | „მარგვეთი“ | 12 | - |
| კარლო ჩინჩალაძე | „საპოვნელა“ | 12 | 1 |
| კახა გოგოლაძე | „გურია“ | 12 | - |

...ნიშვნა: სტატისტიკაში შეტანილი არაა მარგვეთი — შევარდენის გასაჩივრებული მატჩის მაჩვენებლები

რევაზ შენგელია

...ფირმა „მოზარდის“ იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი ატარებს ტურნირს ...ი ფეხბურთში. კომერციულ სასწავლებლებს შორის. მონაწილეობის მსურველებმა ...გვმართეთ მისამართზე: ტოვსტონოგოვის (ყოფილი 25 თებერვლის) 2, საზოგა...ება „მოზარდის“ იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი. ტელეფონი: 95-28-64.

# გია ფირცხალავა: მესამე ქართველი ზაარბრიუკენში?

გია ფირცხალავას დებიუტი დიდ ფეხბურთში იღბლიანი გამოდგა: მანეჟში „სპარტაკთან“ შემცვლელად გამოსულმა ათი წამის შემდეგ თაური თვით დასაევს გაუტანა! ფირცხალავამ ეროვნულ ჩემპიონატშიც ერთი გოლი შეაგდო, მხოლოდ უკვე 113 მატჩში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გია მცველად თამაშობდა. იგი ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს 1990 წელს და ლიტველებთანაც ითამაშა, ჩემპიონატში კი „გორდას“ შემადგენლობაში ორი ბრინჯაო მოიგო. მეხუთე ჩემპიონატის წინ გია ბედის საძებრად გაეშურა გერმანიაში და როგორც ჩანს, მალე იპოვის კიდეც. „დინამო“ — „სამტრედიის“ მატჩის შესვენებაზე მე და გიამ მის გერმანულ ამბებზე ვისაუბრეთ..

— გერმანიაში შარშან აგვისტოში გავემგზავრე და ბრანდენბურგის მიწის ქალაქ ფორსტის გუნდში მოვხვდი. თამაში საყრდენ ნახევარმცველად დავიწყე და რვა მატჩში რვა გოლი გავიტანე. „ფორსტი“ თავის ლიგაში ლიდერობდა. შემამჩნიეს და რამდენიმე კლუბმა გამოთქვა ჩემი მიწვევის სურვილი, მათ შორის დრეზდენის „დინამომაც“. დეკემბერში დავუკავშირდი „ზაარბრიუკენის“ ვიცე-პრეზიდენტს გერჰარდ შვარცკოფს, რომელთანაც 1987 წლიდან ვმეგობრობ. მაშინ „დინამო“ გერმანიაში იმყოფებოდა და ამხანაგური მატჩებიც ჩაატარა „ვერდერთან“ და „ზაარბრიუკენთან“. შვარცკოფს იმდენად დავუახლოვდი, რომ ოჯახებით ვმეგობრობთ.



გია ფირცხალავა და ლევან ყიფიანი თოვლიან გერმანულ მოედანზე

გერჰარდმა მისაყვედურა, აქამდე რატომ არ დამიკავშირდიო და რეკომენდაცია გამიწია ობერლიგის ერთ-ერთ გუნდში, ბერლინთან ათ კილომეტრში მდებარე ქალაქ ორანიენბურგის „აინტრახტში“. ამავე კლუბში მოხვდა ლევან ყიფიანიც, რომელიც მისი გუნდის „ფორმაცია ვორმსის“ დაშლის შემდეგ ახალ კლუბს ეძებდა. ამ კლუბში მე და ლევანი კონტრაქტის თანახმად მაისის ბოლომდე დავრჩებით.

— შემდეგ რა გეგმები გაქვს?

— მე უკვე ხელი მაქვს მოწერილი „ზაარბრიუკენთან“ კონტრაქტზე და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მაისის მერე ამ კლუბში ვითამაშებ.

— ჩემპიონატში თუ ითამაშე?

— პირველივე მატჩი 6:1 მოვიგეთ, მეორე გოლი ოცდამერვე წუთზე ლევანმა გაიტანა, მე სამი საგოლე პასი გავაკეთე.

— თქვენს გარდა კიდევ თუ უცხოელი თქვენს გუნდში?

— ერთი „უცხოელია“: გდრ-ის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი იანოტა, რომელიც მინდვრის შუაგულში ლევანთან ერთად კარგ დუეტს ქმნის.

— მწვრთნელიც უცხოელი გყავთ?

— ჩვენი მწვრთნელი ახალგაზრდა დანიელი სპეციალისტი, ყოფილი მეკარე ჰენრიკ ანდერსენია.

— მელორ ბიგვავაც ლევანთან ერთად თამაშობდა, „ფორმაცია ვორმსში“. ახლა სად არის იგი?

— მელორიც ობერლიგაშია, „ნოიკირხენის“ გუნდში, პირობებს არ უჩივის.

— ესე იგი, ერთი წლით მაინც კიდევ დარჩები გერმანიაში...

— „აინტრახტი“ ნორმალური გუნდია, „ზაარბრიუკენზე“ რომ აღარაფერი ვთქვა. პირობებიც შესაფერისი მაქვს. ახლა ოჯახსაც თან წავიყვან, ასე რომ, არ უნდა გამიჭირდეს გერმანიაში.

მამუკა კვარაცხელია

## გერმანია

XXV ტური. 11-13 მარტი. კაიზერსლაუტერნი — ფრაიბურგი 1:0, კიოლნი — შტუტგარტი 3:1, ჰამბურგი — ლაიპციგი 3:0, ნიურნბერგი — შალკე 1:0, ვერდერი — კარლსრუე 0:2, ვატენშაიდი — ბაიერნი 1:3, დორტმუნდი — დუისბურგი 2:1, აინტრახტი — ლევერკუზენი 2:0, მიონხენგლადბახი — დინამო 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი (2) | 25 | 12 | 8 | 5 | 55-28 | 32 |
| აინტრახტი (3) | 25 | 12 | 6 | 7 | 42-30 | 30 |
| კაიზერსლ. (8) | 25 | 12 | 5 | 8 | 42-30 | 29 |
| კარლსრუე (6) | 25 | 10 | 9 | 6 | 35-25 | 29 |
| ჰამბურგი (11) | 25 | 12 | 5 | 8 | 41-36 | 29 |
| დუისბურგი (დ) | 25 | 11 | 7 | 7 | 32-37 | 29 |
| ლევერკუზ. (5) | 25 | 9 | 8 | 8 | 42-34 | 26 |
| ვერდერი (1) | 25 | 9 | 8 | 8 | 34-30 | 26 |
| მ.გლადბახი (9) | 25 | 10 | 6 | 9 | 47-44 | 26 |
| შტუტგარ. (7) | 25 | 9 | 8 | 8 | 39-36 | 26 |
| კიოლნი (12) | 25 | 10 | 6 | 9 | 34-34 | 26 |
| დორტმუნ. (4) | 25 | 10 | 6 | 9 | 36-39 | 26 |
| ფრაიბურგი (დ) | 25 | 7 | 7 | 11 | 41-46 | 21 |
| დინამო (15) | 25 | 7 | 11 | 7 | 28-34 | 21 |
| შალკე (10) | 25 | 7 | 7 | 11 | 28-38 | 21 |
| ნიურნბერ. (13) | 25 | 7 | 5 | 13 | 30-41 | 19 |
| ვატენშ. (14) | 25 | 3 | 10 | 12 | 31-49 | 16 |
| ლაიპციგი (დ) | 25 | 2 | 10 | 13 | 22-48 | 14 |

## იტალია

XXVII ტური. 13 მარტი. ატალანტა — ლეჩე 3:4, მილანი — სამპდორია 1:0, რომა — რეჯანა 0:0, ნაპოლი — პიაჩენცა 0:0, უდინეზე — ლაციო 2:2, ჯენოა — იუვენტუსი 1:1, პარმა — ინტერი 4:1, კრემონეზე — ფოჯა 2:0, ტორინო — კალიარი 2:1.

წინა ტურში მსაჯის ტრავმის გამო შეწყვეტილი მატჩი: რეჯანა — პარმა მოგვიანებით გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 27 | 18 | 8 | 1 | 31-9 | 44 |
| სამპდორია (7) | 27 | 16 | 4 | 7 | 50-32 | 36 |
| იუვენტუსი (4) | 27 | 12 | 11 | 4 | 45-23 | 35 |
| პარმა (3) | 26 | 15 | 5 | 6 | 44-22 | 35 |
| ლაციო (5) | 27 | 13 | 8 | 6 | 39-28 | 34 |
| ტორინო (9) | 27 | 10 | 9 | 8 | 34-27 | 29 |
| ნაპოლი (11) | 27 | 9 | 10 | 8 | 36-30 | 28 |
| ინტერი (2) | 27 | 10 | 8 | 9 | 36-31 | 28 |
| ფოჯა (12) | 27 | 7 | 12 | 8 | 37-34 | 26 |
| კალიარი (6) | 27 | 8 | 10 | 9 | 34-42 | 26 |
| კრემონეზე (დ) | 27 | 8 | 8 | 11 | 30-32 | 24 |
| პიაჩენცა (დ) | 27 | 7 | 10 | 10 | 24-36 | 24 |
| რომა (10) | 27 | 5 | 13 | 9 | 21-26 | 23 |
| ჯენოა (13) | 27 | 5 | 13 | 9 | 21-32 | 23 |
| უდინეზე (14) | 27 | 6 | 10 | 11 | 24-36 | 22 |
| რეჯანა (დ) | 26 | 5 | 9 | 12 | 18-30 | 19 |
| ატალანტა (8) | 27 | 4 | 9 | 14 | 28-51 | 17 |
| ლეჩე (დ) | 27 | 3 | 5 | 19 | 22-51 | 11 |

## ესპანეთი

XXVIII ტური. 12-13 მარტი. სელტა — ვალენსია 1:0, სპორტინგი — ლოგრონიესი 1:2, რეალი — რაიო ვალეკანო 5:2, სევილია — ლერიდა 2:1, რეალ სოსიედადი — ტენერიფე 2:1, ალბასეტე — სანტანდერი 3:0, ბარსელონა — ატლეტიკო 5:3, სარაგოსა — ოვიედო 2:1, ოსასუნა — ლა კორუნია 0:0, ვალიადოლიდი — ატლეტიკი 1:1.

XXV ტურის გამოტოვებული მატჩი: რაიო ვალეკანო — ვალენსია 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 28 | 16 | 8 | 4 | 38-14 | 40 |
| ბარსელონა (1) | 28 | 17 | 4 | 7 | 68-36 | 38 |
| რეალი (2) | 28 | 15 | 6 | 7 | 43-30 | 36 |
| სარაგოსა (9) | 28 | 13 | 6 | 9 | 47-34 | 32 |
| ატლეტიკი (8) | 28 | 12 | 8 | 8 | 41-29 | 32 |
| სევილია (7) | 28 | 11 | 9 | 8 | 40-30 | 31 |
| ალბასეტე (17) | 28 | 9 | 12 | 7 | 42-37 | 30 |
| ტენერიფე (5) | 28 | 12 | 5 | 11 | 37-39 | 29 |
| სოსიედადი (12) | 28 | 11 | 7 | 10 | 33-38 | 29 |
| სპორტინგი (13) | 28 | 12 | 4 | 12 | 36-35 | 28 |
| სანტანდერი (დ) | 28 | 11 | 6 | 11 | 31-30 | 28 |
| ვალენსია (4) | 28 | 10 | 8 | 10 | 35-39 | 28 |
| ოვიედო (16) | 28 | 8 | 9 | 11 | 28-40 | 25 |
| ლოგრონ. (15) | 28 | 6 | 12 | 10 | 33-40 | 24 |
| სელტა (11) | 28 | 7 | 10 | 11 | 23-31 | 24 |
| რაიო ვალ. (14) | 28 | 8 | 8 | 12 | 35-49 | 24 |
| ატლეტიკო (6) | 28 | 7 | 9 | 12 | 41-41 | 23 |
| ვალიადოლ. (დ) | 28 | 5 | 11 | 12 | 22-39 | 21 |
| ლერიდა (დ) | 28 | 5 | 10 | 13 | 21-38 | 20 |
| ოსასუნა (10) | 28 | 5 | 8 | 15 | 21-46 | 18 |

## შპედერსენოდ...

„ოლდჰემის" ნორვეგიელ მცველს ტორ პედერსენს ინგლისის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში „ბოლტონის" წინააღმდეგ („ბოლტონმა" მოიგო 1:0) მუხლი ისე დაუშავდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ნაკრების შემადგენლობაში ვეღარ ითამაშებს.

პედერსენი, რომელიც ინგლისურ კლუბს 825 ათასი დოლარი დაუჯდა, კვირას ოპერაციას გაიკეთებს. ხრტილის დაზიანების გამო ერთი კვირის წინ საოპერაციო მაგიდაზე იწვა „ოლდჰემის" მეორე ნორვეგიელი მოთამაშე გუნარ ჰალეც. „ნორვეგიელებთან დაკავშირებით ბედი არ გვწყალობს" — თქვა გუნდის მწვრთნელმა ჯო როილმა.

წინა ნომერში გაგვეპარა შეცდომა: დანიის ნაკრების შემადგენლობაში გამოგვრჩა ბრიან ლაუდრუპი. ფეხბურთის განყოფილება ბოდიშს იხდის არა მარტო ჩვენი გაზეთის მკითხველებთან, არამედ იმ კოლეგებთან, რომლებიც წყაროს მიუთითებლად აქვეყნებენ „სარბიელის" ინფორმაციას.

# ევროთურნირები

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

180 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეაწუხა მეტოქის მეკარე.

„ბაიერი" ლევერკუზენი — „ბენფიკა" 4:4 (1:1). ასეთი მატჩები კარგა ხანს არ იშლება მეხსიერებიდან. თქვენ წარმოიდგინეთ: პირველი ტაიმი მთავრდება 1:0, მეორის დასაწყისში შუსტერი, რომელიც ჯერ კიდევ მადრიდის „ატლეტიკოში" მიღებული წითელი ბარათის გამო აქამდე ევროთასებზე ვერ თამაშობდა, ორამდე ზრდის ანგარიშს. მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე წინ უკვე „ბენფიკაა" — 3:2. გადის ოთხი (!) წუთი, მასპინძლები ორ გოლს იტანენ და თავი უკვე ნახევარფინალში ჰგონიათ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ვასილი კულკოვმა თავისი მეორე გოლი შეაგდო და გერმანელები პირშიჩალაგამოვლებულნი დატოვა.

„პარი სენ-ჟერმენი" — „რეალი" 1:1 (1:0). „რეალი" იგებდა, მაგრამ დამატებით დრომდე საქმე ვერ მიიყვანა. ესპანეთის რადიოს ცნობით, 90-ე წუთზე პარიზელთა კარში ნაღდი პენალტი არ დანიშნულა.

„პარმა" — „აიაქსი" 2:0 (0:0). ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „პარმას" ორი კვირის წინ სხვა გუნდი შეხვდა, გუშინწინ კი — სხვა. ამჯერად „აიაქსში" არ თამაშობდა ფინელი ლიტმანენი, მის არყოფნაში კი სხვებს ერთხელაც არ დაურტყამთ კარში. მინოტისა და ბროლინის გოლების გარდა პარმელებს კიდევ უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ამჯერად ესეც იკმარეს.

### უეფას თასი

მეოთხედფინალი 15-16 მარტი.

„იუვენტუსი" — „კალიარი" 1:2 (0:1). იტალიური დერბი ქვეყნის ჩემპიონატში მეათე ადგილზე მყოფი „კალიარის" გამარჯვებით დამთავრდა და რაც ყველაზე საოცარია, მან ორივე მატჩი მოუგო სახელგანთქმულ „იუვენტუსს". დინო ბაჯომ გახსნა ანგარიში, მაგრამ ბაჯოების ამაგი მაინც წყალში გადაიყარა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა რობერტო ბაჯომ 1:1-ზე პენალტიდან ბურთი ძელს გაარტყა.

„კარლსრუე" — „ბოავიშტა" 1:0 (1:1). გოლი პორტუგალიელებმა გაიტანეს, ოღონდ საკუთარ კარში.

„აინტრახტი" — „კაზინო" 1:0 (0:1), პ 4:5. გაუდინიოს მიერ პირველი ტაიმის შუაში გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და საქმე პენალტებამდე მივიდა. ძირითადი სერიის შემდეგ 4:4 იყო. შემდეგ ზალცბურგელთა მეკარე კონრადმა მოიგერია დარტყმა და რაღა სხვას ვენდოო, თავად გაუტანა ფრანკფურტელ კოლეგა ული შტაინს გამარჯვების გოლი.

# ქართველთა გოლები უცხოეთში

დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე უკვე შეიტყვეთ, რომ რეზო არველაძემ ბუნდესლიგაში ჩვენებურთა მიერ გატანილ გოლებს დაუდო დასაბამი. ეს მართლაც ისტორიული დღეა ქართული ფეხბურთისთვის, ამიტომ გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ცხრილი, რომელშიც დაფიქსირებულია ჩვენი ფეხბურთელების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს ლიგებში გატანილი ყველა გოლი. ჩამონათვალში არაა გათვალისწინებული იმ ქვეყნების 1993 წლის მონაცემები, რომლებიც გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით თამაშობენ. როგორც ნახავთ, ამ სეზონამდე საუკეთესო მაჩვენებელი გია გურულს ჰქონდა. სწორედ მან, ქართველთაგან პირველმა, 1991 წლის 22 მაისს გაიტანა გოლი პოლონეთის ჩემპიონატში.

### გია გურული — 20

1990-91 გ.კ.ს. კატოვიცე, პოლონეთი. 7 მატჩი, 1 გოლი.

22.05.91 „ზავიშა" ბიდგოშჩი — გ.კ.ს. 0:1

1991-92 გ.კ.ს. კატოვიცე, პოლონეთი. 30 მატჩი, 10 გოლი.

04.08.91 გ.კ.ს. — „სტალი" სტალოვა ვოლა 3:0
20.10.91 გ.კ.ს. — „პუშნიკი" კრაკოვი 2:1 (2)
27.10.91 „ოლიმპია" პოზნანი — გ.კ.ს. 1:2
15.03.92 გ.კ.ს. — „რუხი" ხოჟუვი 1:1
05.04.92 გ.კ.ს. — „ვიძევი" ლოძი 1:0
12.04.92 „ვისლა" კრაკოვი — გ.კ.ს. 2:4
03.05.92 „პეგროტური" დებიცა — გ.კ.ს. 0:3 (2)
24.05.92 გ.კ.ს. — ლ.კ.ს. ლოძი 2:1

1992-93 „ლე ავრი" საფრანგეთი. 30 მატჩი, 9 გოლი.

07.10.92 „ლე ავრი" — „სტრასბური" 3:0
07.11.92 „ლე ავრი" — „პარი სენ-ჟერმენი" 1:1
20.11.92 „ლიონი" — „ლე ავრი" 1:1
28.11.92 „ლე ავრი" — „მეცი" 2:1
30.01.93 „ლე ავრი" — „ნანტი" 2:0
26.02.93 „ლე ავრი" — „კაენი" 2:3
10.04.93 „ლე ავრი" — „ტულუზა" 3:2
01.05.93 „ლე ავრი" — „ლიონი" 2:0
22.05.93 „ტულონი" — „ლე ავრი" 1:2

### თემურ ქეცბაია — 17

1991-92 „ანორთოსის-ფამაგუსტა" ლარნაკა, კვიპროსი. 26 მატჩი, 13 გოლი.

13.10.91 „ანორთოსისი" — „აპოელი" ნიქოზია 2:2
19.10.91 „ოლიმპიაკოსი" ნიქოზია — „ანორთოსისი" 1:2
26.10.91 „ანორთოსისი" — „ომონია" არადიპუ 3:1
23.11.91 „ალკი" ლარნაკა — „ანორთოსისი" 2:3
01.12.91 „ანორთოსისი" — ე.პ.ა. ლარნაკა 2:1
08.12.91 „ომონია" ნიქოზია — „ანორთოსისი" 0:3
05.01.92 „ანორთოსისი" — „პარალიმნი" 1:0
12.01.92 ა.ე.ლ. ლიმასოლი — „ანორთოსისი" 1:4
29.02.92 „ანორთოსისი" — „ალკი" ლარნაკა 3:1
22.03.92 „არისი" ლიმასოლი — „ანორთოსისი" 1:7 (2)
05.04.92 „ანორთოსისი" — „ნეა სალამინა" 2:1
12.04.92 „პარალიმნი" — „ანორთოსისი" 2:2

1992-93 „ანორთოსის-ფამაგუსტა" ლარნაკა, კვიპროსი. 24 მატჩი, 4 გოლი.

15.11.92 „ანორთოსისი" — „ოლიმპიაკოსი" ნიქოზია 1:0
03.04.93 ა.ე.ლ. ლიმასოლი — „ანორთოსისი" 4:1
08.05.93 „აპოელი" ნიქოზია — „ანორთოსისი" 1:3 (2)

### კახი კაჭარავა — 9

1992-93 „ოლიმპიაკოსი" ნიქოზია, კვიპროსი. 23 მატჩი, 9 გოლი.

03.10.92 „ოლიმპიაკოსი" — „პეზოპორიკოსი" 2:1
18.10.92 „აპოლონი" ლიმასოლი — „ოლიმპიაკოსი" 5:1
19.12.92 „ოლიმპიაკოსი" — „ევაგორასი" 1:4
07.03.93 „არისი" ლიმასოლი — „ოლიმპიაკოსი" 1:3 (2)
03.04.93 „ოლიმპიაკოსი" — ე.პ.ა. ლარნაკა 3:2
01.05.93 „ოლიმპიაკოსი" — „პარალიმნი" 2:0
16.05.93 „ოლიმპიაკოსი" — ა.ე.ლ. ლიმასოლი 2:2
29.05.93 „ოლიმპიაკოსი" — „აპოელი" ნიქოზია 3:2

### გოჩა ტყებუჩავა — 3

1992 „ილვესი" ტამპერე, ფინეთი. 25 მატჩი, 3 გოლი.

12.07.92 „ილვესი" — „ოულუ" 4:2
16.08.92 „იარო" — „ილვესი" 3:2
30.08.92 „ილვესი" — „ჯაზი" 2:3

### ზაზა რევიშვილი — 3

1992-93 გ.კ.ს. კატოვიცე, პოლონეთი. 23 მატჩი, 3 გოლი.

22.08.92 გ.კ.ს. — „ზავიშა" ბიდგოშჩი 2:1
12.09.92 გ.კ.ს. — „სიარკა" ტარნობჟეგი 4:1
04.10.92 გ.კ.ს. — „ზაგლემბე" ლუბინი 2:0

### დავით მახარაძე — 2

1991-92 „ალკი" ლარნაკა, კვიპროსი. 23 მატჩი, 2 გოლი.

19.10.91 „ალკი" — „არისი" ლიმასოლი 2:0
17.11.91 ა.ე.ლ. ლიმასოლი — „ალკი" 4:1

მონაცემები აღებულია "European Football Yearbook"-ის ბოლო სამი წლის გამოცემებიდან.


სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 18-20 მარტი | დინამო — აინტრახტი | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | შალკე — კარლსრუე | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | დუისბურგი — ჰამბურგი | 1,5 | 2,4 | 3,2 |
| | შტუტგარტი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 2,5 | 5,7 |
| | ვატენშაიდი — ვერდერი | 2,7 | 2,3 | 1,7 |
| | ბაიერნი — დორტმუნდი | 1,1 | 2,8 | 6,8 |
| | ფრაიბურგი — ნიურნბერგი | 1,4 | 2,4 | 3,7 |
| | ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 2,4 | 3,2 |
| | ლაიპციგი — კიოლნი | 2,9 | 2,3 | 1,6 |
| | ბილბაო — სელტა | 1,3 | 2,2 | 6,0 |
| | ვალენსია — სპორტინგი | 1,3 | 2,3 | 5,0 |
| | ლოგრონიესი — რეალი | 3,0 | 2,2 | 1,6 |
| | რაიო ვალეკანო — სევილია | 1,8 | 2,2 | 2,7 |
| | ლერიდა — რეალ სოსიედადი | 1,4 | 2,2 | 4,4 |
| | ტენერიფე — ალბასეტე | 1,3 | 2,3 | 5,0 |
| | რასინგი — ბარსელონა | 4,0 | 2,5 | 1,3 |
| | ატლეტიკო — სარაგოსა | 1,6 | 2,2 | 3,2 |
| | ოვიედო — ოსასუნა | 1,3 | 2,3 | 5,0 |
| | ლა კორუნია — ვალიადოლიდი | 1,1 | 2,6 | 8,0 |
| | პიაჩენცა — ატალანტა | 1,4 | 2,2 | 4,4 |
| | ლეჩე — კრემონეზე | 4,0 | 2,5 | 1,3 |
| | ლაციო — ნაპოლი | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | იუვენტუსი — პარმა | 1,5 | 2,1 | 3,8 |
| | ფოჯა — რომა | 1,5 | 2,1 | 3,8 |
| | კალიარი — სამპდორია | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | რეჯანა — ტორინო | 1,5 | 2,0 | 4,0 |
| | ჯენოა — უდინეზე | 1,4 | 2,2 | 4,4 |

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 07 26-30 მარტი

| | | I წრე | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | კიოლნი — დუისბურგი | 0:0 | 3 4 3 | 1 X 2 |
| 2 | აინტრახტი — შტუტგარტი | 2:0 | 5 3 2 | 1 X |
| 3 | ჰამბურგი — ბაიერნი | 0:4 | 2 4 4 | X 2 |
| 4 | ნიურნბერგი — ლევერკუზენი | 0:4 | 2 3 5 | X 2 |
| | იტალიის ჩემპიონატი | | | |
| 5 | ნაპოლი — მილანი | 1:2 | 2 5 3 | X 2 |
| 6 | კალიარი — იუვენტუსი | 1:1 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 7 | ტორინო — ლაციო | 2:1 | 4 4 2 | 1 X |
| | ჩემპიონთა ლიგა | | | |
| 8 | ბარსელონა — გალათასარაი | 0:0 | 8 1 1 | 1 |
| 9 | სპარტაკი — მონაკო | 1:4 | 5 3 2 | 1 X |
| 10 | მილანი — ანდერლეხტი | 0:0 | 6 3 1 | 1 |
| 11 | ვერდერი — პორტუ | 2:3 | 5 4 1 | 1 X |

ყოველ ტირაჟში მოგების მინიმალური ფონდია 1 000 000 კუპონი. შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისათვის ტელეფონი 96-32-61

ტურისტული ფირმა „იმედი-92"
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია — გერმანიის გავლით. პირდაპირი რეისი თბილისი — პრაღა. პრაღიდან ჰოლანდიამდე მგზავრობა კომფორტული ავტობუსით. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. ფირმა სხვა ფირმებს დაეხმარება ვიზების გაფორმებაში.
ეგვიპტე (კაირო-ალექსანდრია) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.
საბერძნეთი (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.
სირია (ალეპო) თურქეთის გავლით — მგზავრობა „მერსედესის" ტიპის ავტობუსით.
ბულგარეთი (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის" ტიპის ავტობუსით.
ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

სიახლე თბილისში

ფირმა TOP-FORUM-ის მიერ გაიხსნა ყველა მომხმარებლისათვის აუცილებელი მაღაზია.

აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაზე იაფი და მაღალი ხარისხის უცხოური წარმოების საკანცელარიო საქონელი და ცნობილი ფირმების „CASIO"-სა და „CITISEN"-ის უახლესი მოდელის კალკულატორები.

ჩვენი მისამართია: 26 მაისის მოედანი №1. სასტუმრო „აჭარა", II სართული. მეტრო „პოლიტექნიკურიან".

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# «დიდი კაცის» დაბრუნება

ხუთშაბათი, 10 მარტი.

ჰიუსტონ როკიტსი — სიეტლ სუპერსონიქსი 87:82. „ჰიუსტონი" მთელი მატჩი ჩამორჩებოდა და ერთხანს 14 ქულასაც აგებდა. სამაგიეროდ მეოთხე მეოთხედში 29 ქულა ჩააგდებინა მეტოქეს. უკანასკნელ 6,27 წუთში კი — მხოლოდ 4. აკიმ ოლაჯუონმა 23 ქულა მოუტანა გამარჯვებულებს, ხოლო ახალბედა სემ კასელმა ბოლო წამებზე ოთხი საჯარიმო ჩააგდო. „სიეტლმა" სროლათა 36 პროცენტი გამოიყენა და ორი ლიდერის გარეშე ითამაშა: რიკი პირსს ძვალზე წანაზარდები გაუჩნდა, ხოლო ნეით მაკმილანი მუცლის ღრუში ტკივილმა შეაწუხა. „სუპერსონიქსმა" დაასრულა ექვსმატჩიანი წაგებული სერია, ხოლო „როკიტსმა" დაიბრუნა ლიდერობა შუა-დასავლეთის დივიზიონში.

ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — დალას მავერიქსი 106:101. „ლეიკერზელმა" ვლადე დივაცმა კარიერაში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა — 22 ქულა, 17 მოხსნა, 12 პასი. მისი გუნდი შუაწელში 28 ქულას იგებდა, მაგრამ მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 46 წამით ადრე ჯიმ ჯექსონმა (21 ქულა) 83:82 დააწინაურა „დალასი". შემდეგ მასპინძლები გონს მოეგნენ და დაამარცხეს მაჩანჩალა მეტოქე, რომელსაც მარცხენა ბარძაყის დაჭიმულობის გამო აკლდა ასოციაციის ყველაზე შედეგიანი ახალბედა ჯამალ მაშბურნი.

გოლდენ სტეიტ ვორიორსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 100:97. „ვორიორსმა" ჯავრი იყარა ორშაბათის მარცხზე, მიუხედავად იმისა, რომ ბარძაყის ლურჯებულმა კრის ვებერმა უკვე მესამე მატჩი ვერ ითამაშა, ხოლო კრის გეტლინგმა მეორე მეოთხედში მუხლი დაიშავა. ლატრელ სპრიუელმა 22 ქულა ჩააგდო. „პორტლენდმა" სცადა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ტრეისი მიურეის სირენისთანავე ნასროლი სამქულიანი უკნიდან მოხვდა ფარს.

პარასკევი, 11 მარტი.

ორლანდო მეჯიკი — ფილადელფია-76 112:105. „ორლანდომ", როგორც ორი დღის წინ, კვლავ გაიმარჯვა. შაკილ ო ნილმა 28 ქულა და 21 მოხსნა გააკეთა, თანაც 19 სროლიდან 12 ჩააგდო. მასპინძლები უფრო იოლად აგებდნენ ზედიზედ მეთხუთმეტე მარცხს „76"-ს, შაკილს 11 საჯარიმოდან 7 რომ არ აეცილებინა.

მაიამი ჰითი — ფინიქს სანზი 107:122. „ფინიქსი" მეორე მეოთხედში დაეუფლა ინიციატივას. სედრიკ სებალოსმა (28 ქულა, 12 მოხსნა), დან მარლიმ (28 ქულა) და კევინ ჯონსონმა (17 ქულა, 17 პასი) მეცამეტე მატჩში ცალმხრივად მოუგეს გლენ რაისის (20 ქულა), რონი საიკლის (18 ქულა) და ბრაიან შოუს (18 ქულა) „მაიამის".

დეტროიტ პისტონსი — კლივლენდ კავალიერსი 98:96. „კავალიერსს" რომ მოეგო, კლუბის რეკორდს დაამყარებდა ზედიზედ 12 მოგებით, მაგრამ ჯო დუმარსმა (31 ქულა, 11 პასი), ვისი საშუალო შედეგიანობაც ბოლო ოთხ მატჩში 34,5 ქულაა, ყველა იმედი გადაუწურა მას. დეკემბრის შემდეგ „დეტროიტმა" პირველად მოიგო ზედიზედ ორი თამაში.

ბოსტონ სელტიქსი — ნიუ-იორკ ნიქსი 83:90. დამთავრებამდე 3,28 წუთით ადრე „ნიქსელმა" ჰუბერტ დევისმა (25 ქულა) სამქულიანით 76:74 დააწინაურა გუნდი. იმავე წამს შერმან დუგლასმა ორი საჯარიმო ჩააგდო, რასაც პატრიკ იუინგმა (28 ქულა) მომდევნო შეტევისას ანალოგიური პასუხი გასცა. ბოლო სამწუთიანი მონაკვეთი „ნიუ-იორკმა" 12:7 მოუგო მეტოქეს.

მინესოტა ტიმბერვულვზი — შარლოტ ჰორნეტსი 91:97. შარლოტელებს ალონზო მურნინგის (20 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება) დაბრუნებით გამოწვეული ეიფორია არ გასვლოდათ, როცა ამ მატჩში გამოჩნდა „დიდი კაცი" ლარი ჯონსონი, ვისაც დეკემბრის შემდეგ 31 მატჩში გამოეტოვებინა წელკავის გამო. ჯონსონმა 17 წუთი ითამაშა პირველ ტაიმში და „შარლოტს" 10 ქულა და 4 მოხსნა მიუთვალა. ეს იყო გამარჯვებულთა მწვრთნელის ალან ბრისტოუს მე-100 მოგებული მატჩი ასოციაციაში.

ვაშინგტონ ბულიტსი — დენვერ ნაგიტსი 100:93. ვაშინგტონელმა ბრენტ პრაისმა სამი გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო. პირველად მესამე პერიოდის დამთავრებამდე 4,5 წუთით ადრე, როცა მისმა გუნდმა დაიწყო ათქულიანი სხვაობის გაბათილება. მეორედ, დამთავრებამდე 1,18 წუთით ადრე სამქულიანი ისროლა და გაათანაბრა ანგარიში — 91:91. ხოლო სირენამდე 52,6 წამით ადრე ორი საჯარიმო გამოიყენა და საბოლოოდ დააწინაურა დედაქალაქელები.

ატლანტა ჰოქსი — ჩიკაგო ბულზი 108:77. „ატლანტამ" სეზონში უდიდესი სხვაობით წააგებინა „ბულზს", რითაც შური იძია ჩიკაგოში 8 მარტის მარცხისათვის. გამარჯვებულებში ყველაზე შედეგიანი იყო კევინ უილისი — 23 ქულა, 15 მოხსნა; დამარცხებულებში — სკოტი პიპენი — 18 ქულა.

ნიუ ჯერსი ნეტსი — ინდიანა პეისერსი 87:73. „ინდიანას" ასე უშედეგოდ წლეულს არ უთამაშია. მეოთხე მეოთხედში მან მხოლოდ 13 ქულა გააკეთა. „ნეტსელმა" ბენუა ბენჯამინმა 25 ქულა ჩააგდო და 12 ბურთი მოხსნა.

ლოს-ანჯელეს კლიპერსი — დალას მავერიქსი 106:96. „კლიპერსმა" გაუმეორა „დალასს" სამი დღის წინანდელი, ოღონდ მეოთხე მეოთხედის ნაცვლად მესამეში გადაწყვიტა ყველაფერი. ამ მეოთხედში დომინიკ ვილკინსის და რონ ჰარპერის ტანდემმა 22 ქულა გააკეთა, თუმცა ამ დუეტმა პირველ ტაიმში 17 ქულა დააგროვა.

მილუოკი ბაქსი — საკრამენტო კინგზი 100:108. „ბაქსელმა" ჯო კურტნიმ ფინალურ მეოთხედში პირველი ბურთი ჩააგდო და 87:79 დააწინაურა თავისიანები. მაგრამ „კინგზმა" 18:2 მოიგო მომდევნო მონაკვეთი. მიჩ რიჩმონდმა (25 ქულა, 23 — მეორე ტაიმში, 12 — მეოთხე მეოთხედში) და უოლტ ვილიამსმა 6-6 ქულა ჩააგდეს ამ მონაკვეთში.

სან-ანტონიო სფურზი — სიეტლ სუპერსონიქსი 99:100. სიეტლელმა გერი პეიტონმა დამთავრებამდე 1,2 წამით ადრე ექვსი მეტრიდან ესროლა და თავის გუნდს ტეხასის შტატში გამართული ზედიზედ ორი მატჩიდან ერთი მოაგებინა.

შაბათი, 12 მარტი.

ჰიუსტონ როკიტსი — სან-ანტონიო სფურზი 98:109. ცენტრების ჭიდილში უფრო ივარგა სანანტონიოელმა დევიდ რობინსონმა (40 ქულა, 16 მოხსნა): ექვსი პერსონალურის გამო მოედანი დაატოვებინა ჰიუსტონელ აკიმ ოლაჯუონს (27 ქულა, 18 მოხსნა). „სფურზმა" პირველად მოიგო ჰიუსტონში 1991 წლის შემდეგ და ააცალა „როკიტსს" ლიდერობა შუა-დასავლეთის დივიზიონში. ოთხი დღის წინ ამ გუნდების მატჩში გაიმარჯვა „სფურზმა" — 115:99 (და არა 115:59, როგორც წინა ნომერში გაუწყეთ).

ნიუ-იორკ ნიქსი — კლივლენდ კავალიერსი 96:86. „ნიქსმა" ზედიზედ მეექვსედ მოიგო 90-ზე მეტი ქულის დაგროვებით, რაც კლუბის რეკორდია. პატრიკ იუინგს (29 ქულა) ფარქვეშ პრობლემა არ ჰქონია, მით უმეტეს კლივლენდელ ცენტრს ბრედ დოჰერტის დისკოზი აქვს და ერთი თვეა არ თამაშობს.

ჩიკაგო ბულზი — საკრამენტო კინგზი 111:94. მეოთხე მეოთხედის საწყისი წუთების 15:4 მოგებით „ჩიკაგომ" გამარჯვება გაინაღდა. სკოტი პიპენმა 20 ქულა გააკეთა, ტონი კუკოჩმა და სკოტ ვილიამსმა — 17-17, ბი. ჯეი. არმსტრონგმა — 16.

ინდიანა პეისერსი — მილუოკი ბაქსი 104:97. დამთავრებამდე 3,19 წუთით ადრე „ინდიანელმა" რეჯი მილერმა (23 ქულა) სამქულიანი ჩააგდო და 97:85 დააწინაურა თავისიანები. ეს იყო მილერის მე-800 სამქულიანი და იგი ასოციაციის ისტორიაში მეოთხე კალათბურთელია, ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

ნიუ-ჯერსი ნეტსი — პოლოტ პორნეტსი 117:92. არ შედგა ასოციაციის ყველაზე ძვირი მოთამაშეების „ნეტსელი" დერიკ კოულმენის (20 ქულა) და „შარლოტელი" ლარი ჯონსონის (8 ქულა) დუელი. ჯონსონს ჯერაც ვერ მოურჩენია ბოლომდე წელკავი და პირველ ტაიმში მხოლოდ 16 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმში იგი საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე.

დეტროიტ პისტონსი — ატლანტა ჰოქსი 92:104. „დეტროიტმა" პირველი ტაიმი ერთი ქულით მოიგო, ხოლო მესამე მეოთხედის შუაწელში 61:53 იგებდა. მეოთხედის დარჩენილი დრო „ჰოქსმა" 25:5 მოიგო. ამ ხანში საუკეთესო იყო სტეისი ოგმონი (8 ქულა, 5 მოხსნა). დანი მანინგმა (24 ქულა) ოგმონის მონაგარს 6 ქულა წაუმატა.

კვირა 13 მარტი

ორლანდო მეჯიკი — ფინიქს სანზი 93:100 დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ფინიქსელმა კევინ ჯონსონმა (30 ქულა) 91:89 დააწინაურა გუნდი. ცოტა ხანში ჩინებულად მოთამაშე ორლანდოელმა შაკილ ო ნილმა (39 ქულა) ჩატენვა გააცუდა, რასაც უმალ მოჰყვა ჩარლზ ბარკლის (30 ქულა, 20 მოხსნა) სამქულიანი.

ვაშინგტონ ბულიტსი — ფილადელფია — 76 97:114. „76"-მა ზედიზედ 15 მარცხის შემდეგ მოიგო. კლარენს ვეზერსპუნმა 28 ქულა და 12 მოხსნა გააკეთა, ჯეფ მელოუნმა — 21 ქულა. „ვაშინგტონში" ყველაზე შედეგიანები იყვნენ ტომ გულიოტა (23 ქულა) და რექს ჩეპმენი (20 ქულა).

მინესოტა ტიმბერვულვზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერსი 88:90. მესამე მეოთხედის ბოლოს „მინესოტა" 70:66 იგებდა, მაგრამ მომდევნო მეოთხედის საწყისი ექვსი წუთი „ლეიკერზმა" 11:2 მოიგო. ამ ხანში ახალბედა ჯორჯ ლინჩმა 5 ქულა ჩააგდო. ვლადე დივაცმა 18 ქულა და 13 მოხსნა შესძინა გამარჯვებულებს. „მინესოტას" არ ჰყავდა ზურგატკავებული კრისტიან ლეიტნერი და კისერგაშეშებული დუგ ვესტი.

ბოსტონ სელტიქსი — მაიამი ჰითი 8:106. რონი საიკლიმ (36 ქულა, 16 მოხსნა), ჰაროლდ მაინერმა (16 ქულა) და გრანტ ლონგმა (14 ქულა) კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანეს „ჰითს" სტუმრად გამართულ მატჩებში.

დალას მავერიქსი — ჰიუსტონ როკიტსი 93:100. ვერნონ მაქსველმა (27 ქულა) „ჰიუსტონის" ლიდერობა გასწია უქეიფოდ მყოფი აკიმ ოლაჯუონის (18 ქულა) ნაცვლად და მისმა გუნდმა დაიბრუნა პირველობა თავის დივიზიონში.

ლოს-ანჯელეს კლიპერსი — გოლდენ სტეიტ ვორიორსი 120:117. „კლიპერზელმა" რონ ჰარპერმა სეზონში მეორედ გააკეთა 39 ქულა. მანვე დამატებითი დროის დამთავრებამდე 11,1 წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო.

სიეტლ სუპერსონიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 114:102. „სიეტლი" უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს 95:67 იგებდა. კენდალ გილმა 23 ქულა მოუტანა გამარჯვებულებს.

მერაბ რატიშვილი



„დიდი კაცი" — ლარი ჯონსონი

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის ჯგუფი | | | |
| ნიუ-იორკი | 42 | 19 | 689 |
| ორლანდო | 37 | 24 | 606 |
| მაიამი | 34 | 27 | 557 |
| ნიუ-ჯერსი | 32 | 29 | 525 |
| ბოსტონი | 22 | 38 | 367 |
| ფილადელფია | 21 | 41 | 339 |
| ვაშინგტონი | 19 | 42 | 311 |
| ცენტრალური ჯგუფი | | | |
| ატლანტა | 43 | 18 | 705 |
| ჩიკაგო | 39 | 22 | 639 |
| კლივლენდი | 36 | 26 | 581 |
| ინდიანა | 32 | 27 | 542 |
| შარლოტი | 25 | 34 | 424 |
| მილუოკი | 17 | 44 | 279 |
| დეტროიტი | 15 | 46 | 246 |
| შუა-დასავლეთის ჯგუფი | | | |
| ჰიუსტონი | 42 | 17 | 712 |
| სან-ანტონიო | 44 | 18 | 710 |
| იუტა | 42 | 20 | 677 |
| დენვერი | 29 | 31 | 483 |
| მინესოტა | 16 | 45 | 262 |
| დალასი | 8 | 53 | 131 |
| წყნარი ოკეანის ჯგუფი | | | |
| სიეტლი | 45 | 15 | 750 |
| ფინიქსი | 40 | 20 | 667 |
| პორტლენდი | 38 | 24 | 613 |
| გოლდენ სტეიტი | 35 | 26 | 574 |
| ლ. ა. ლეიკერზი | 24 | 35 | 407 |
| ლ. ა. კლიპერზი | 22 | 38 | 367 |
| საკრამენტო | 21 | 40 | 344 |

## აქეთური, იქითური

ავსტრალიის ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრების ახალმა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა და მისმა თანაშემწემ ტონი როუჩმა ამ თვის ბოლოს სანკტ-პეტერბურგში დევისის თასის მერვედფინალში რუსებთან შესახვედრად გუნდში შეიყვანეს ჭაბუკები ჯემი მორგანი და პატრიკ რაფტერი, რომლებიც დაემატებიან ჯეისონ სტოლტენბერგსა და ვუდფორდ — ვუდბრიჯის წყვილს. აშშ-ის გუნდთან დელიში სათამაშოდ გამოუცდელი გუნდი დაასახელა ინდოეთმა: ავტომატურ არჩევანს — ლეანდერ პაესს ოთხდღიანი საწვრთნელი შეკრების შემდეგ დაუმატა ზიშან ალი, გარენ ნესიკა და ატიფ ისმაილი. რაც შეეხება მსოფლიოს პირველ ჩოგან ქალ შტეფი გრაფს, მან აზრი შეიცვალა და გადაწყვიტა, მაინც იასპარეზოს ჰამბურგის ღია პირველობაში, რომელსაც აქამდე ერიდებოდა იმის გამო, რომ შარშან ვილაც დამთხვეულმა გრაფის მჯობნი ამერიკელი მონიკა სელეში დანით ისე დაკოდა, რომ სამარადისოდ გამოაკლო საჩოგბურთო სამყაროს.

*

შაბათისა და კვირის შესაყარზე ურუგვაის საკურორტო ქალაქ პუნტა-დელესტეში მიცურდნენ „ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლის მოწინავე იახტები. ჯერ კიდევ ხუთშაბათს წინ კვლავ 60-ფუტა „ინტრუმ ჯუსტიცია" იყო, მაგრამ პარასკევს, ფინიშამდე 285 საზღვაო მილი რომ რჩებოდა, მაქსი „ნიუ-ზილენდ ენდევორმა" ევროპის კავშირის ნავს გაასწრო. ამ დროისათვის ფლოტილიას სუსტი პირქარი შეხვდა და სწორედ ამან განაპირობა მაქსი-იახტის წარმატება. შაბათ დილით სხვაობა ლიდერებს შორის ორადორი მილი იყო, ფინიშზე კი „ენდევორმა" ევროპელებს ხუთი წუთით მიასწრო. ასე დასრულდა მეოთხე ეტაპი, რომელიც სამი კვირის წინ, 20 თებერვალს ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში დაიწყო. რაც შეეხება მეხუთე ეტაპს, იგი 2 აპრილს დაიწყება, როცა ფლოტილია ფლორიდის კურორტ ფორტ-ლოდერდეილისკენ გაემართება.

*

გერმანელი ტრამპლინიდან მხტომელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იენს ვაისფლოგი დიდი სპორტისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და კიდევ ერთ წელს იასპარეზებს.

*

სენსაციურად დასრულდა მეორე ფიჯიური შვიდკაცა, რომელიც ამ უქმეებზე ქვეყნის დედაქალაქ სუვაში გაიმართა. ფინალში ალმოსავლეთ ფიჯის გუნდმა 28:12 მოუგო ეროვნულ ნაკრებს. მიუხედავად ამისა, კანბერის შვიდკაცისათვის და წლის უმთავრესი საერთაშორისო ტურნირის — ჰონკონგის შვიდკაცისათვის შედგენილ ათკაციან გუნდში მძლეველი გუნდიდან ორი მოთამაშე მოხვდა, ძლეულიდან კი — ექვსი. ნახევარფინალში ჩემპიონებმა 21:14 მოუგეს ახალ ზელანდიას, ფიჯმა კი ტონგას 28:14 აჯობა. რაც შეეხება კანადას, იგი ევროპაში ჩამოსულა. შაბათს სტუმრებმა კარდიფში 11:42 წააგეს უელსის „ა" ნაკრებთან.

*

შაბათსვე ლიგის რაგბის სეზონი გაიხსნა ავსტრალიაში. გაიმართა იქაური „ვინფილდის" თასის პირველი თამაშები. ბრიტანეთის „სილქ ქათის" თასზე კი მოეწყო პირველი ნახევარფინალი. ნეიტრალურ მოედანზე — ლიდსის გარეუბან ჰედინგლის სტადიონზე „ვიგანმა" 20:6 სძლია „კასლფორდს", რომელსაც მეტოქე წელს ორჯერ ჰყავდა დამარცხებული და ამ ორ თამაშში მისთვის 79 ქულაც გაეტანა. ამ გამარჯვებით „ვიგანი" ზედიზედ მეშვიდედ (!) გავიდა ფინალში.

*

ამერიკელი ფიგურულად მოციგურავე ტანია ჰარდინგი იასპარეზებს მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ერთ კვირაში იაპონიაში დაიწყება. აშშ-ის ციგურაობის ფედერაცია 10 მარტს აპირებდა მისი საქმის განხილვას და იანვარში ნენსი კერიგანზე თავდასხმის მოწყობისათვის დასჯასაც უპირებდა, მაგრამ ორეგონის შტატის ფედერალურმა მოსამართლემ სხვაგვარად განსაჯა: მან გამოაცხადა, რომ ჰარდინგის ადვოკატებს დრო არ ეყოფათ დაცვის მოსამზადებლადო, რის გამოც პროცესი 27 ივნისამდე (!) ვერ გაიმართებაო. ჰარდინგის ვექილებმა აქამდეც იმარჯვეს და თავიანთი მუშტარი ლილეჰამერის ოლიმპიადაზეც ასრიალეს.

აქეთური, იქითური




## ჯექსონის რეკორდები

უელსელმა მსოფლიო ჩემპიონმა, თარჯმორბენალმა კოლინ ჯექსონმა ბოლო სამ კვირაში მეორეჯერ გააუმჯობესა 60 მეტრზე დარბაზში თარჯრბენის რეკორდი. წინა მიღწევა, რომელიც ჯექსონსა და ამერიკელ გრეგ ფოსტერს საზიაროდ ეკუთვნოდათ, ვერმანიის ქალაქ ზიმელტინგში ექვსი მეასედი წამით გაუმჯობესდა. ახალი რეკორდი 7,30 წამის ტოლია. ჯექსონი ამასაც არ დასჯერდა და ამ უქმეებზე პარიზში, ბერსის დარბაზში მოწყობილ ევროპის პირველობაზე იშვიათი დუბლი გააზერხა: 6,49 წამით გაიმარჯვა 60 მეტრზე რბენაში, 7,42 წამით კი იმავე მანძილზე თარჯრბენში. წინა ჯერზე ამგვარი რამ 1958 წელს მოუხერხებია ინგლისელ კიტ გარდნერს ბრიტანული თანამეგობრობის თამაშებზე, ოღონდ, რა თქმა უნდა, 100 და 110 მეტრებზე.

## ვაისენშტაინერის ორმაგი უბედურება

იტალიელ მოციგავე ქალ გერდა ვაისენშტაინერს შინიდან მაშინ მოპარეს ოლიმპიადაზე, ლილეჰამერში მოპოვებული ოქროს მედალი, როცა ქალაქ ბოლცანოში ძმის დაკრძალვაში მონაწილეობდა. სპორტსმენმა თავისი საწუხარი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს აცნო. ამათაც გაიზიარეს ვაისენშტაინერის ორმაგი უბედურება და შეპირდნენ, ახალ მედალს დავამზადებინებთ და თუცილებლად გამოგიგზავნითო.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)